09 11 2012წ.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

(20.08.2012წ №283 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე)

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ჭურდაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლოატაციო სამსახური", წარმოდგენილი მისი დირექტორის ა.წიქარიშვილის (ქ. ბორჯომი, დ.აღმაშენებლის ქ. №15, საიდენტიფიკაციო კოდი 226166369) სახით, ვთანხმდებით მასზედ, რომ შ.პ.ს. „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლოატაციო სამსახურის"-ის დირექტორის 2012 წლის 9 ნოემბრის №53 წერილის საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „წყალსადენისა და კანალიზაციის საექსპლოატაციო სამსახურ"-ს შორის 2012 წლის 20 აგვისტოს გაფორმებულ №283 ხელშეკრულებით - ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფელ ყვიბისში) კანალიზაციის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, შესასრულებელი სამუშაოებში შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ დ-100 პლასტმასის მილი შეიცვალოს გოფრირებული დ-100 მილით. ასევე შეტანილი იქნას ცვლილება ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.1. სამუშაოს შესრულება ხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 110 (ას ათი) დღეში."

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ჭურდაძე

შ.პ.ს. „წყალსადენისა და კანალიზაციის
საექსპლოატაციო სამსახური", დირექტორი

ქ. ბორჯომი, დ. აღმაშენებლის ქ. №15

ა. წიქარიშვილი